

**ევროპის არაწევრი ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური
ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი: ევროკავშირსა და
საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA-ის როლი
ბ) არასატარიფო ბარიერების როლი პოტენციური წყარო ქვეყნებისთვის**

ვერონიკა მოვჩანი, დავიდ საჰა

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო



ISET-ის კვლევით ინსტიტუტთან თანამშრომლობით

ბერლინი/თბილისი, მაისი, 2016 წელი

მიდგომა

- **PB/04/2016-ში** ჩვენ დავადგინეთ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების პოტენციალი საქართველოში, რასაც განაპირობებს ტარიფებისგან თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე
- ამ პრეზენტაციაში განვიხილავთ პოტენციური წყარო ქვეყნების ინვესტორების წინაშე არსებული არასატარიფო ბარიერებით განპირობებულ დამატებით სტიმულს პუი-ისტვის
- PB/04/2016-ში განსაზღვრული **8 წყარო ქვეყანა**: აზერბაიჯანი, ჩინეთი, ირანი, ყაზახეთი, კუვეიტი, რუსეთი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამირო
- არასატარიფო ბარიერებია:
 - ევროკავშირის მხრიდან: სატარიფო განაკვეთის კვოტები, წვდომა ევროკავშირის ბაზარზე ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის, სავაჭრო შეზღუდვები (ანტი-დემპინგური და სხვ.)
 - წყარო ქვეყანის მხრიდან: გადასახადი ექსპორტზე, ლიცენზიები, კვოტები, ნებართვები
- ჩვენ ჩამოვთვლით არასატარიფო ბარიერებს პროდუქტის დონეზე თითოეული ქვეყნისთვის, ვადარებთ მათ პროდუქტებს, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის და ლმობიერი წარმოშობის წესები და ვაანალიზებთ, რომელი პროდუქტის ექსპორტს ეწევიან ქვეყნები, განსაკუთრებით ევროკავშირის მიღმა
 - მითითება, რომ არასატარიფო ბარიერები ზღუდავს პირდაპირ ექსპორტს წყარო ქვეყნიდან ევროკავშირში
 - დამატებითი მოტივი საქართველოში საექსპორტო პლატფორმის შექმნისთვის საჭირო პუი-ისტვის

აზერბაიჯანი: ძირითადი არასატარიფო ბარიერები ექსპორტზე

აზერბაიჯანის ექსპორტის რეგულაციები	ევროკავშირის იმპორტის რეგულაციები
<p>ექსპორტის აკრძალვა: ლითონის ჯართი გადასახადი ექსპორტზე: შერჩეულ ლითონებსა და მათ პროდუქციაზე</p> <p>ექსპორტის ნებართვა: იარაღი, ბირთვული მასალები, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები, ქიმიური ტოქსინები და სხვ.</p> <p>ექსპორტის ხელშეკრულების რეგისტრაცია: გარეული ცხოველები და მცენარეები, ზოგიერთი სამედიცინო ინგრედიენტი, ხელოვნების ნიმუშები, ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებები და პროდუქტები</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული მეთევზეობის პროდუქტების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: ზომები არ არსებობს</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>

- აზერბაიჯანის მიერ დაწესებული არასატარიფო ბარიერები მოდის პროდუქტებზე, რომელიც არ ემთხვევა პროდუქტების იმ სიას, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის
- აზერბაიჯანი ეწევა ზოგიერთი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ექსპორტს ევროკავშირს მიღმა, რისთვისაც ევროკავშირის ბაზარზე წვდომა შეზღუდულია → არსებობს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო კუი-ის პოტენციალი, მას შემდეგ, რაც საქართველო განახორციელებს სურსათის უსაფრთხოების რეფორმას

ჩინეთი: ძირითადი არასატარიფო ბარიერები ექსპორტზე

ჩინეთის ექსპორტის რეგულაციები	ევროკავშირის იმპორტის რეგულაციები
<p>ექსპორტის კვოტები: ბრინჯი, სიმინდი, ხორბალი, ბამბა, ნახშირი, ფქვილები; დამუშავებული მერქანი, კოქსი, ნედლი ნავთობი, დამუშავებული ზეთი; შერჩეული მინერალური პროდუქტები, ტალკი (ფხვნილი); ძირტკბილა, სხვ.</p> <p>ექსპორტის ლიცენზია: ხორცი; პარაფინი; პლატინა; ავტომობილები; მოტოციკლები; C ვიტამინი; პენიცილინის სამრეწველო მარილი; დინატრიუმის სულფატი; კოქსი; კარბორინდი; ალუმინის მადანი; ჰალოიდური მინერალი; ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებები; ბუნებრივი ქვიშები; მოლიბდენის პროდუქტები, ლიმონმჟავა, სხვ.</p> <p>გადასახადი ექსპორტზე: თევზი, მინერალური პროდუქტები და საწვავი, ქიმიური პროდუქტები, სასუქები, ტყავი, ხის მასალა, ლითონები</p> <p>ექსპორტის აკრძალვები: მორალის, გარემოს, ჯანმრთელობის, ბუნებრივად ამოწურვადი რესურსების დაცვასთან დაკავშირებული პროდუქტები</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული ფრინველის, ხორცის, თევზეულის, კვერცხის, გარსების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: მოქმედებს 61 საზომი, შედის ქიმიური პროდუქტები, ლითონის პროდუქტები, შუშისა და კერამიკული პროდუქტები, მავთული, მზის პანელები, სხვ.</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>

- მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი აქტიურად იყენებს ექსპორტის რეგულაციებს, ეს ეხება მხოლოდ მცირე რაოდენობით პროდუქტებს მაღალი სხვაობით ტარიფებს შორის
- ჩინეთისთვის ზოგიერთი **სამრეწველო პროდუქტი** უფრო იმედისმომცემი ჩანს: როგორც მაღალი ტარიფები, ისე არასატარიფო ბარიერები, მაგ.: ველოსიპედები და კერამიკა, ევროკავშირის მიერ ანტი-დემპინგური და ანტი-სუბსიდიური ზომების გამოყენების გამო

ირანი: ძირითადი არასატარიფო ბარიერები ექსპორტზე

ირანის ექსპორტის რეგულაციები	ევროკავშირის იმპორტის რეგულაციები
<p>ექსპორტიორებმა უნდა აიღონ ირანის სავაჭრო პალატის, მრეწველობების, სამთო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სავაჭრო ბარათი</p> <p>ექსპორტის აკრძალვები: ხორბალი, ფქვილი, გადაუმუშავებელი შაქარი, წითელი ხორცი, ქერი, სოიოს მარცვლების ნამცხვარი, მცენარეული ზეთები, კარაქი, საჭმელი ზეთი, პირუტყვი, ტყავი, საჭმელი სოდა, ნატრიუმის კარბონატი, შეშა, ნახშირი და ვინილის აცეტატი მონომერი</p> <p>გადასახადი ექსპორტზე: რკინის საბადო</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული თევზის პროდუქტების, გარსების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: არავითარი ზომები</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>

- ირანი ეწევა ზოგიერთი ცხოველური წარმოშობის პროდუქტისა და მზა საკვები პროდუქტების ექსპორტს ევროკავშირს გარეთ ბაზრებზე, რომელთათვისაც ევროკავშირის ბაზარზე წვდომა შეზღუდულია → არსებობს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის პოტენციალი, მას შემდეგ, რაც საქართველო განახორციელებს სურსათის უსაფრთხოების რეფორმას

ყაზახეთი: ძირითადი არასატარიფო ბარიერები ექსპორტზე

ყაზახეთის ექსპორტის რეგულაციები	ევროკავშირის იმპორტის რეგულაციები
<p>ექსპორტის აკრძალვები: ხე, ხის მასალა, გარკვეული ხის პროდუქტები, მრავალჯერადი ქაღალდი, მუყაო, ნედლეული ქაღალდის მასალები და ქაღალდი</p> <p>გადასახადი ექსპორტზე: პირუტყვის ტყავი და მატყლი, შავი და ფერადი ლითონების ჯართი და ნარჩენები, ნავთობ-პროდუქტები</p> <p>ექსპორტის ლიცენზიები: სახიფათო ნარჩენები, ნარკოტიკები; გარეული ცხოველები და მცენარეები; გადაშენების პირას მყოფი სახეობები, ძვირფასი ლითონები და ქვები; მინერალური ნედლეული; ტოქსიკური ნივთიერებები და სხვ.</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული ფრინველის, ხორცის, თევზეულის, კვერცხის, გარსების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: არავითარი ზომები</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>

- ყაზახ ექსპორტიორებს აქვთ შიდა შეზღუდვები ნედლეულის ექსპორტზე → არ ემთხვევა პროდუქტებს, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის
- ყაზახეთი ეწევა ყველა ცხოველური პროდუქტის ექსპორტს, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის ევროკავშირს მიღმა ბაზრებზე, მაგრამ აქვს წვდომის შეზღუდვა ევროკავშირის ბაზარზე სურსათის უსაფრთხოების რეგულაციების გამო → არსებობს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის პოტენციალი, მას შემდეგ, რაც საქართველო განახორციელებს სურსათის უსაფრთხოების რეფორმას

კუვეიტი: ძირითადი არასატარიფო ბარიერები ექსპორტზე

კუვეიტის ექსპორტის რეგულაციები	ევროკავშირის იმპორტის რეგულაციები
<p>ექსპორტის აკრძალვები: ხორბლის ფქვილი, იარაღი, ცოცხალი ცხვარი და თხა, სიმინდი, ქერი, ქატო, თევზი, ზოგიერთი ლითონი, მავთულები, ბრინჯი, შაქარი, მზესუმზირის ზეთი, რძე და ნაღები, პომიდორი, სხვ.</p> <p>ექსპორტის ლიცენზირება: სურსათისა და სოფლის მეურნეობის, პლასტმასის ნარჩენები, ფერადი ლითონების ნარჩენები და ჯართი, ზეთები, სხვ. არავითარი გადასახადი ექსპორტზე</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: არ ჰყავს ავტორიზებული ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: არავითარი ზომები</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>

- კუვეიტელ ექსპორტიორებს აქვთ ფართო შიდა შეზღუდვები ექსპორტზე, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და საკვებ პროდუქტებზე
- ასევე, კუვეიტს არ აქვს უფლება, ევროკავშირში ექსპორტზე გაიტანოს ნებისმიერი ცხოველური წარმოშობის პროდუქტი
- კუვეიტის მიერ ექსპორტზე გატანილი სასოფლო-სამეურნეო და სურსათის პროდუქტების უმეტესობას აქვს მაღალი პოტენციალი ექსპორტის პლატფორმისთვის საჭირო კუი-ისთვის, მას შემდეგ, რაც საქართველო განახორციელებს სურსათის უსაფრთხოების რეფორმას

რუსეთი: ძირითადი არასატარიფო ბარიერები ექსპორტზე

რუსეთის ექსპორტის რეგულაციები	ევროკავშირის იმპორტის რეგულაციები
<p>ექსპორტის აკრძალვები: ხე, ხის მასალა, გარკვეული ხის პროდუქტები, მრავალჯერადი ქაღალდი, მუყაო, ნედლეული ქაღალდის მასალები და ქაღალდის ნარჩენები</p> <p>გადასახადი ექსპორტზე: თევზი, ხორბალი, სოიო, მზესუმზირა, მინერალური პროდუქტები და საწვავი, ტყავი, ხე და ხის მასალა, ლითონები და ჯართი, რკინიგზის მოწყობილობების ნაწილები</p> <p>ექსპორტის კვოტები: ლითონის ჯართი</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების</p> <p>ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული ფრინველის, ფერმის ხორცის, ხორცის პროდუქტების, თევზის პროდუქტების, რძის პროდუქტების, კოლაგენის, გარსების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური: ფოლადი, მილები, ფერო-შენადნობები</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>

- რუსეთი ზღუდავს ნედლეული პროდუქტების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო და სურსათის პროდუქტების, ექსპორტს
- ცხოველური წარმოშობის პროდუქტები ექვემდებარება გადასახადს ექსპორტზე რუსეთში და არასატარიფო შეზღუდვებს ევროკავშირში, რაც მათ პოტენციურად მიმზიდველს ხდის ექსპორტის პლატფორმისთვის საჭირო პუი-ისთვის, მას შემდეგ, რაც საქართველო განახორციელებს სურსათის უსაფრთხოების რეფორმას

საუდის არაბეთი: ძირითადი არასატარიფო ბარიერები ექსპორტზე

საუდის არაბეთის ექსპორტის რეგულაციები	ევროკავშირის იმპორტის რეგულაციები
<p>ექსპორტიორები უნდა დარეგისტრირდნენ საჯარო უწყებაში</p> <p>ექსპორტის აკრძალვები: პირუტყვი და ცხენები, ცხოველების საკვები (მაგ.: ქერი), ფრინველის საკვები (მაგ.: ყვითელი სიმინდი და სოიო), სხვ.</p> <p>ექსპორტის ლიცენზირება: ცხენები, ხორბალი, ქერი, სიმინდი, სოიო, ხორბლის ფქვილი, შერჩეული მინერალური პროდუქტები, წამლები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სხვ არავითარი ექსპორტის გადასახადები</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული თევზის პროდუქტების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: არავითარი ზომები</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>

- საუდის არაბეთის ექსპორტიორებისთვის, რომლებიც ეწევიან იმ პროდუქტების ექსპორტს, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, ევროკავშირის მიერ დაწესებული არასატარიფო ბარიერები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ექსპორტის შიდა რეგულაციები
- ევროკავშირის მიერ **ცხოველური პროდუქტებისა და მზა საკვები პროდუქტების** წვდომაზე დაწესებული შეზღუდვები ქმნის პოტენციალს ექსპორტის პლატფორმისთვის საჭირო პუი-ისთვის, მას შემდეგ, რაც საქართველო განახორციელებს სურსათის უსაფრთხოების რეფორმას

არაბთა გაერთიანებული საამირო: ძირითადი არასატარიფო ბარიერები ექსპორტზე

არაბთა გაერთიანებული საამიროს ექსპორტის რეგულაციები	ევროკავშირის იმპორტის რეგულაციები
<p>ექსპორტის აკრძალვა: ფსიქოტროპული ნივთიერებები; გადაშენების პირას მყოფი სახეობები; მუსლიმური კულტურისთვის შეურაცხმყოფელი ნივთები; კორუფციისა და განუკითხაობის გამომწვევი ნივთები; დასხივებული საკვები პროდუქტები</p> <p>ექსპორტის ლიცენზირება: ორმაგი დანიშნულების ნივთები, შერჩეული ქიმიკატები, გადაშენების პირას მყოფი სახეობები, თავდაცვისა და ბირთვული მასალები, საწვავი, ნარკოტიკები და სამედიცინო მოწყობილობები</p> <p>ექსპორტის SPS სერთიფიკატი: ხორცი, მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული და საზღვაო საქონელი</p> <p>გადასახადი ექსპორტზე ფოლადის ჯართზე</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული თევზის პროდუქტების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: არავითარი ზომები</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>

- არასატარიფო შეზღუდვები სამრეწველო პროდუქტების ექსპორტზე არაბთა გაერთიანებულ საამიროში არ ემთხვევა იმ პროდუქტების სიას, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის
- ევროკავშირის მიერ ცხოველური პროდუქტებისა და მზა საკვები პროდუქტების წვდომაზე დაწესებული შეზღუდვები ქმნის პოტენციალს ექსპორტის პლატფორმისთვის საჭირო პუი-ისთვის, მას შემდეგ, რაც საქართველო განახორციელებს სურსათის უსაფრთხოების რეფორმას

დასკვნები

- მესამე სამყაროს ქვეყნების (არა საქართველოს ან ევროკავშირის) წინაშე არსებული ევროკავშირში ექსპორტის არასატარიფო ბარიერები ქმნის დამატებით სტიმულს საქართველოში საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ისთვის ევროკავშირის ბაზარზე სრული წვდომით
- სასოფლო-სამეურნეო და სურსათის პროდუქტები უაღრესად მიმზიდველია => ძირითადად, ევროკავშირის იმპორტის რეგულაციების გამო
- ცხოველური წარმოშობის პროდუქტები იმედისმომცემია => ხშირად პოტენციური წყარო ქვეყნების მიერ წარმოებული, მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის და არასატარიფო ბარიერები მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის
 - ევროკავშირის ნორმების შესაბამისი სურსათის უსაფრთხოების სისტემისა და პრაქტიკის შექმნა არის ასეთი ინვესტიციების წინაპირობა
- ჩინეთისთვის, საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის დამატებითი მოტივაცია მრეწველობაში არის ევროკავშირის ანტი-დემპინგური და ანტი-სუბსიდიური ზომები და ექსპორტის ზოგი შიდა რეგულაცია

საკონტაქტო ინფორმაცია

ვერონიკა მოვჩანი

movchan@berlin-economics.com

დავიდ საჰა

saha@berlin-economics.com

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო

c/o BE Berlin Economics GmbH

შილერის ქ. 59, D-10627 ბერლინი, გერმანია

ტელ.: +49 30 / 20 61 34 64 0

ფაქსი: +49 30 / 20 61 34 64 9

www.get-georgia.de

Twitter: @BerlinEconomics

დანართი 1: ევროკავშირის რეგულაციები

▪ სატარიფო განაკვეთის კვოტები (TRQs):

- გაიხსნა ურუგვაის სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმების შემდეგ
- პროდუქტების 87 კატეგორია, მათ შორის მარცვლეული, შაქარი, რძის პროდუქტები, ხორცი, კვერცხი, სხვ.

წყარო: WTO, G/AG/N/EU/24

▪ სავაჭრო შეზღუდვები:

- ანტი-დემპინგური ზომები – დამატებითი სავაჭრო ბარიერები პროდუქტებზე, რომლებიც მიეწოდება ადეკვატურზე დაბალ ფასად და, შესაბამისად, აზიანებს ევროკავშირის იმავე პროდუქტის მწარმოებელ მრეწველობას
- ანტი-სუბსიდიური ზომები – დამატებითი სავაჭრო ბარიერები პროდუქტებზე, რომელთა წარმოებაც სუბსიდირებულია და, შესაბამისად, აზიანებს ევროკავშირის იმავე პროდუქტის მწარმოებელ მრეწველობას

წყარო: EU DG Trade, <http://trade.ec.europa.eu/tdi/completed.cfm>

▪ ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორთა წვდომა ევროკავშირის ბაზარზე:

- ამ ქვეყნებიდან მხოლოდ ავტორიზებულ ქვეყნებსა და ავტორიზებულ დაწესებულებებს აქვთ უფლება, მიაწოდონ ცხოველური წარმოშობის პროდუქტები ევროკავშირს

წყარო: ევროკავშირის ჯანმრთელობისა და სურსათის უსაფრთხოება,

https://webgate.ec.europa.eu/sanco/traces/output/non_eu_listsPerCountry_en.htm#

დანართი 2: პოტენციური წყარო ქვეყნების ექსპორტის რეგულაციები

■ ინფორმაციის წყარო:

- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია: ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, კუვეიტი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამირო
- ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (რუსეთი, ყაზახეთი) რეგულაციები
- ღია საჯარო წყაროები (ირანი)

■ გათვალისწინებული ექსპორტის რეგულაციები:

- ექსპორტის კვოტები, მაგ.: ექსპორტზე დაწესებული ნებისმიერი რაოდენობრივი შეზღუდვა
- ექსპორტის ლიცენზიები/ნებართვები, მაგ.: რეგულაციები, რომლებიც მოითხოვს კონკრეტული პროდუქტის ექსპორტისთვის საჭირო სახელმწიფო ნებართვას. არ ითვლება რეგულაციები, რომლებიც ავალდებულებს ყველა ექსპორტიორს, გაიაროს რეგისტრაცია
- გადასახადები ექსპორტზე
- შენიშვნა: ექსპორტის აკრძალვები წარმოდგენილია, მაგრამ არ არის გათვალისწინებული პოტენციური პუი-ის ანალიზისას, რადგან ჩვენ ვუშვებთ, რომ ქვეყნებს, რომლებიც არ ეწევიან ამ პროდუქტების ექსპორტს, არ ექნებათ საკმარისი ცოდნა საიმისოდ, რომ ინვესტიციები ჩადონ ამ პროდუქტების საზღვარგარეთ წარმოებაში

დანართი 3: პროდუქტების მატრიცა

- ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია იმ პროდუქტების თანხვედრა, რომელთაც აქვთ:
 - მაღალი ტარიფები და ლმობიერი წარმოშობის წესები, PB/04/2016-ში წარმოდგენილი პროდუქტები (პირველი სვეტი მარცხნივ)
 - ზემოთ და: არასატარიფო ბარიერების სხვადასხვა ფორმები, რომელიც გამოიყენება კონკრეტული ქვეყნის შემთხვევაში (სვეტები მარჯვნივ)
- ცხრილების სია, რამდენი პროდუქტი შეესაბამება *HS-ის 6-ციფრიან* დონეს, ხვდება შესაბამის კატეგორიაში:
 - ქვეყნის მთლიანი ექსპორტი (პირველი რიცხვი)
 - ქვეყნის ექსპორტი ექსკლუზიურად ევროკავშირს გარეთ ბაზრებზე (მეორე რიცხვი, ფრჩხილებში)
- შესაბამისი პროდუქტების დეტალური სიები წარმოდგენილი იქნება ტექნიკური შენიშვნების დოკუმენტში, რომელსაც GET საქართველო მალე გამოაქვეყნებს

დანართი 3: აზერბაიჯანი

პროდუქტები, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, ლმობიერი წარმოშობის წესები და არასატარიფო ბარიერები მსოფლიოსა და ექსკლუზიურად ევროკავშირს გარეთ ბაზრებზე ექსპორტზე გატანილი წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი დონის კატეგორიების # (ფრჩხილებში)

	მაღალი ტარიფი/ ლმობიერი წარმოშობის წესები(1)	(1) და ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტები	(1) და ევროკავშირის ცხოველური პროდუქტები: არაჯითარი წვდომა	(1) და აზერბაიჯანის გადასახადი ექსპორტზე
I ცხოველური პროდუქტები	6 (6)	2 (2)	5 (5)	0 (0)
II ბოსტნეული	11 (10)	1 (1)	0 (0)	0 (0)
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები, ზეთები	6 (6)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IV მზა საკვები პროდუქტები	23 (22)	1 (1)	1 (1)	0 (0)
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VII პლასტმასი, რეზინა	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VIII ნედლეული ტყავი	3 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IX ხე და ხის ნაწარმი	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XI ქსოვილები და ქსოვილების ნაწარმი	8 (6)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XII ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XIII ქვის, თაბაშირისა და მინის ნაწარმი	1 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XX სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ჯამი	58 (53)	4 (4)	6 (6)	0 (0)

წყარო: ავტორების გამოთვლები

დანართი 3: ჩინეთი

პროდუქტები, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, ლმობიერი წარმოშობის წესები და არასატარიფო ბარიერები მსოფლიოსა და ექსკლუზიურად ევროკავშირს გარეთ ბაზრებზე ექსპორტზე გატანილი წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი დონის კატეგორიების # (ფრჩხილებში)

	მაღალი ტარიფი/ლმობიერი წარმოშობის წესები (1)	(1) და ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტები	(1) და ევროკავშირის სავაჭრო შეზღუდვები	(1) და ევროკავშირის ცხოველური პროდუქტები: არავითარი წვდომა	(1) და ჩინეთის გადასახადი ექსპორტზე	(1) და ჩინეთის ექსპორტის ლიცენზირება	(1) და ჩინეთის ექსპორტის კვოტა
I ცხოველური პროდუქტები	65 (11)	3 (2)	0 (0)	5 (3)	0 (0)	2 (1)	0 (0)
II ბოსტნეული	82 (30)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	2 (2)
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები, ზეთები	10 (3)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IV მზა საკვები პროდუქტები	115 (19)	4 (0)	1 (0)	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	10 (4)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VII პლასტმასი, რეზინა	11 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VIII ნედლეული ტყავი	19 (6)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IX ხე და ხის ნაწარმი	17 (1)	0 (0)	1 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XI ქსოვილები და ქსოვილების ნაწარმი	573 (19)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XII ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები	24 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XIII ქვის, თაბაშირისა და მინის ნაწარმი	34 (0)	0 (0)	11 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	27 (1)	0 (0)	4 (0)	0 (0)	3 (0)	3 (0)	5 (1)
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	2 (0)	0 (0)	1 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XX სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი	9 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ჯამი	998 (94)	7 (2)	18 (0)	7 (5)	3 (0)	5 (1)	7 (3)

წყარო: ავტორების გამოთვლები

დანართი 3: ირანი

პროდუქტები, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, ლმობიერი წარმოშობის წესები და არასატარიფო ბარიერები

მსოფლიოსა და ექსკლუზიურად ევროკავშირს გარეთ ბაზრებზე ექსპორტზე გატანილი წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიან დონეზე კატეგორიების # (ფრჩხილებში)

	მაღალი ტარიფი/ლმობიერი წარმოშობის წესები (1)	(1) და ევროკავშირის ცხოველური პროდუქტები: არავითარი წვდომა	(1) და ევროკავშირის ტარიფის განაკვეთის კვოტები	(1) და ირანის გადასახადი ექსპორტზე
I ცხოველური პროდუქტები	40 (38)	21 (21)	13 (13)	0 (0)
II ბოსტნული	49 (39)	0 (0)	1 (1)	0 (0)
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები, ზეთები	8 (8)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IV მზა საკვები პროდუქტები	59 (43)	2 (2)	4 (4)	0 (0)
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	1 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VII პლასტმასი, რეზინა	1 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VIII ნედლეული ტყავი	8 (6)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IX ხე და ხის ნაწარმი	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XI ქსოვილები და ქსოვილების ნაწარმი	90 (83)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XII ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები	13 (12)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XIII ქვის, თაბაშირისა და მინის ნაწარმი	18 (15)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	3 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XX სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი	1 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ჯამი	293 (250)	23 (23)	18 (18)	0 (0)

წყარო: ავტორის გამოთვლები

დანართი 3: ყაზახეთი

პროდუქტები, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, ლმობიერი წარმოშობის წესები და არასატარიფო ბარიერები

მსოფლიოსა და ექსკლუზიურად ევროკავშირის მიღმა ბაზრებზე ექსპორტზე გატანილი წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი დონის კატეგორიების # (ფრჩხილებში)

	მაღალი ტარიფი/ლმობიერი წარმოშობის წესები (1)	(1) და ევროკავშირის ცხოველური პროდუქტები: არავითარი წვდომა	(1) და ევროკავშირის ტარიფის განაკვეთის კვანძები	(1) და ყაზახეთის ექსპორტის ლიცენზირება	(1) და ყაზახეთის ექსპორტის ნებართვები	(1) და ყაზახეთის ექსპორტის კვოტა
I ცხოველური პროდუქტები	46 (42)	31 (31)	20 (20)	1 (1)	0 (0)	0 (0)
II ბოსტნული	37 (32)	0 (0)	1 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები, ზეთები	11 (10)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IV მზა საკვები პროდუქტები	51 (50)	4 (4)	3 (3)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VII პლასტმასი, რეზინა	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VIII ნედლეული ტყავი	9 (6)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IX ხე და ხის ნაწარმი	3 (3)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XI ქსოვილები და ქსოვილების ნაწარმი	63 (54)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XII ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები	11 (8)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XIII ქვის, თაბაშირისა და მინის ნაწარმი	4 (4)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	8 (5)	0 (0)	0 (0)	2 (1)	0 (0)	0 (0)
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XX სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი	1 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ჯამი	248 (219)	35 (35)	24 (24)	3 (2)	0 (0)	0 (0)

წყარო: ავტორის გამოთვლები

დანართი 3: კუვეიტი

პროდუქტები, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, ღმობიერი წარმოშობის წესები და არასატარიფო ბარიერები

მსოფლიოსა და ექსკლუზიურად ევროკავშირს გარეთ ბაზრებზე ექსპორტზე გატანილი წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი დონის კატეგორიების # (ფრჩხილებში)

	მაღალი ტარიფი/ღმობიერი წარმოშობის წესები (1)	(1) და ევროკავშირის ცხოველური პროდუქტები: არაჯითარი წკდომა	(1) და ევროკავშირის ტარიფის განაკვეთის კვოტები	(1) და კუვეიტის ექსპორტის ლიცენზირება
I ცხოველური პროდუქტები	37 (36)	31 (31)	12 (12)	37 (36)
II ბოსტნეული	24 (23)	0 (0)	1 (1)	23 (22)
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები, ზეთები	8 (8)	0 (0)	0 (0)	8 (8)
IV მზა საკვები პროდუქტები	38 (38)	5 (5)	4 (4)	30 (30)
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VII პლასტმასი, რეზინა	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VIII ნედლეული ტყავი	6 (3)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IX ხე და ხის ნაწარმი	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XI ქსოვილები და ქსოვილების ნაწარმი	84 (72)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XII ფეხსაცმელი, ქუდეები, ქოლგები	14 (10)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XIII ქვის, თაბაშირისა და მინის ნაწარმი	12 (12)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	5 (5)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	2 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XX სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ჯამი	234 (212)	36 (36)	17 (17)	98 (96)

წყარო: ავტორის გამოთვლები

დანართი 3: რუსეთი

პროდუქტები, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, ლმობიერი წარმოშობის წესები და არასატარიფო ბარიერები მსოფლიოსა და ექსკლუზიურად ევროკავშირს მიღმა ბაზრებზე ექსპორტზე გატანილი წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი დონის კატეგორიების # (ფრჩხილებში)

	მაღალი ტარიფი/ლმობიერი წარმოშობის წესები (1)	(1) და ევროკავშირის ცხოველური პროდუქტები: არავითარი წვდომა	(1) და ევროკავშირის სავაჭრო შეზღუდვები	(1) და ევროკავშირის ტარიფის განაკვეთის კვოტები	(1) და რუსეთის ექსპორტის კვოტა	(1) და რუსეთის გადასახადები ექსპორტზე	(1) და რუსეთის ექსპორტის ლიცენზირება	(1) და რუსეთის ექსპორტის ნებართვები
I ცხოველური პროდუქტები	123 (100)	19 (18)	0 (0)	27 (24)	0 (0)	21 (15)	1 (0)	0 (0)
II ბოსტნეული	75 (54)	0 (0)	0 (0)	1 (1)	0 (0)	2 (1)	0 (0)	0 (0)
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები, ზეთები	20 (10)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IV მზა საკვები პროდუქტები	135 (98)	0 (0)	0 (0)	12 (12)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	13 (11)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	1 (0)	0 (0)
VII პლასტმასი, რეზინა	10 (7)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VIII ნედლეული ტყავი	18 (7)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	4 (2)	0 (0)	0 (0)
IX ხე და ხის ნაწარმი	11 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XI ქსოვილები და ქსოვილების ნაწარმი	350 (242)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XII ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები	20 (7)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XIII ქვის, თაბაშირისა და მინის ნაწარმი	29 (8)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	23 (10)	0 (0)	2 (0)	0 (0)	0 (0)	2 (0)	2 (0)	0 (0)
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	3 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XX სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი	6 (4)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ჯამი	836 (562)	19 (18)	2 (0)	40 (37)	0 (0)	29 (18)	4 (0)	0 (0)

წყარო: ავტორების გამოთვლები

დანართი 3: საუდის არაბეთი

პროდუქტები, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, ლმობიერი წარმოშობის წესები და არასატარიფო ბარიერები

მსოფლიოსა და ექსკლუზიურად ევროკავშირს გარეთ ბაზრებზე ექსპორტზე გატანილი წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი დონის კატეგორიების # (ფრჩხილებში)

	მაღალი ტარიფი/ლმობიერი წარმოშობის წესები (1)	(1) და ევროკავშირის ცხოველური პროდუქტები: არავითარი წვდომა	(1) და ევროკავშირის ტარიფის განაკვეთის კვოტები	(1) და საუდის არაბეთის ექსპორტის ლიცენზირება
I ცხოველური პროდუქტები	67 (64)	38 (37)	17 (16)	0 (0)
II ბოსტნეული	69 (66)	0 (0)	2 (2)	2 (2)
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები, ზეთები	17 (16)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IV მზა საკვები პროდუქტები	76 (67)	7 (7)	10 (10)	0 (0)
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VII პლასტმასი, რეზინა	1 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VIII ნედლეული ტყავი	3 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IX ხე და ხის ნაწარმი	10 (10)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XI ქსოვილები და ქსოვილების ნაწარმი	125 (119)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XII ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები	15 (15)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XIII ქვის, თაბაშირისა და მინის ნაწარმი	19 (18)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	3 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	3 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XX სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი	2 (1)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ჯამი	412 (383)	45 (44)	29 (28)	2 (2)

წყარო: ავტორების გამოთვლები

დანართი 3: არაბთა გაერთიანებული საამირო

პროდუქტები, რომელთაც აქვთ მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, ღმობიერი წარმოშობის წესები და არასატარიფო ბარიერები

მსოფლიოსა და ექსკლუზიურად ევროკავშირის გარეთ ბაზრებზე ექსპორტზე გატანილი წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი დონის კატეგორიების # (გრჩხილებში)

	მაღალი ტარიფი/ღმობიერი წარმოშობის წესები (1)	(1) და ევროკავშირის ცხოველური პროდუქტები: არავითარი წვდომა	(1) და ევროკავშირის ტარიფის განაკვეთის კვლავი	(1) და არაბთა გაერთიანებული საამიროს გადასახადი ექსპორტზე	(1) და არაბთა გაერთიანებული საამიროს ექსპორტის ლიცენზირება
I ცხოველური პროდუქტები	54 (51)	29 (28)	15 (15)	0 (0)	0 (0)
II ბოსტნეული	29 (26)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები, ზეთები	18 (16)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IV მზა საკვები პროდუქტები	76 (64)	4 (4)	6 (5)	0 (0)	0 (0)
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VII პლასტმასი, რეზინა	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
VIII ნედლეული ტყავი	5 (3)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
IX ხე და ხის ნაწარმი	5 (5)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XI ქსოვილები და ქსოვილების ნაწარმი	184 (113)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XII ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები	13 (8)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XIII ქვის, თაბაშირისა და მინის ნაწარმი	17 (8)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	2 (2)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
XX სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი	3 (3)	0 (0)	0 (0)	0 (0)	0 (0)
ჯამი	410 (303)	33 (32)	21 (20)	0 (0)	0 (0)

წყარო: ავტორების გამოთვლები